მომსახურების ხელშეკრულება №301/1752
არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV კოდი: 71200000)
შესყიდვასთან დაკავშირებით

ქ.თბილისი 04 აგვისტო, 2017 წელი

1. ხელშკერულების მხარეები:

1.1 **დამკვეთი:**

1.1.1. **სახელწოდება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო**

1.1.2 **საიდენტიფიკაციო ნომერი:** 203836222

1.1.3 **იურიდიული მისამართი:** ქ.თბილისი შიო ჩიტაძის ქ.4

1.1.4 **საკორესპონდენციო: (ფაქტობრივი) მისამართი:** ქ.თბილისი შიო ჩიტაძის ქ.4

1.1.5 **მინისტრის მოადგილე:** ზვიად გონაძე

1.1.6 **ელფოსტა: mfageo@mfa.gov.ge. mgogolauri@mfa.gov.ge**

1.2. **შემსრულებელი:**

1.2.1 **სახელწოდება (საფირმო):** შპს „ლენდ მარკ პროჯექტი "

1.2.2 **საიდენტიფიკაციო:** 405221843

1.2.3 **იურიდიული მისამართი:** ირაკლი აბაშიძის ქუჩა #86. ბინა #8

1.2.4 **საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ. კორპ. 11ბ

1.2.5 **დირექტორი:** ავთანდილ მახარობლიშვილი (პ/ნ:01008018073)

1.2.6 **დირექტორის წარმომადგენელი:** თეა მანჩხაშვილი (პ/ნ:01027010735)

1.2.7 **ელფოსტა:** avto.makh@gmail.com

1.2.8 **საბანკო რეკვიზიტები:**

1.2.9 **ბანკის დასახელება:** სს „თი ბი სი"

1.2.10 **ანგარიშის ნომერი:** GE79TB7427336080100005

2. ტერმინთა განმარტება.

2.1. წინამდებარე **ხელშეკრულებაში** გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1 **არქიტექტურული პროექტი** - არქიტექტურული შემოქმედების შედეგად დოკუმენტურად დაფიქსირებული ავტორისეული ჩანაფიქრი, სადაც ჩამოყალიბებულია არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურა და მოცულობით-სივრცითი დაგეგმარების პრინციპი, რომელიც ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად კომპლექსურად წყვეტს ქალაქთმშენებლობით, მხატვრულ-ესთეტიკურ, ფუნქციურ და ტექნიკურ საკითხებს, წარმოადგენს საავტორო უფლებათა ობიექტს;

2.1.2 **უძრავი ძეგლის ტერიტორია** – უძრავ ძეგლზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – უძრავი ძეგლის მიერ უშუალოდ დაკავებული ტერიტორია;

2.1.3 **კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი** - ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა #3-ში არსებული შენობა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მინიჭებული აქვს უძრავი ძეგლის სტატუსი;

2.1.4 **ძეგლის ადაპტაცია** – ძეგლში მისი რეაბილიტაციის, ასევე ფუნქციის დასაშვები ცვლილების ინტერესით განპირობებული იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლებიც არ იწვევს ძეგლის მხატვრულ-

ესთეტიკური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას და გამართლებულია მეთოდოლოგიურად;

2.1.5 **უძრავი ძეგლის ცვლილება** – ძეგლის ცვლილება, როგორიცაა მოცულობის შეცვლა, რაც შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ აკნინებს ან არ ჩრდილავს ძეგლის ისტორიულ და კულტურულ ღირებულებას, ან ხელს არ უშლის მის სათანადო ინტერპრეტაციასა და დაფასებას

2.1.6 **ხელშეკრულება** - წინამდებარე ხელშეკრულება;

2.1.7 **მხარეები** - დამკვეთი ან/და შემსრულებელი (კონტექსტის შესაბამისად);

2.1.8 **მესამე პირი** – ნებისმიერი პირი გარდა დამკვეთის ან/და შემსრულებლისა;

2.1.9 **საკორესპონდენციო მისამართები:**

- **დამკვეთის:**, ელექტრონული ფოსტის მისამართი:mfageo@mfa.gov.ge. mgogolauri@mfa.gov.ge;
- **შემსრულებლის:** ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ. კორპ. #11ბ. ელექტრონული ფოსტის მისამართი: avto.makh@gmail.com

2.1.10 **უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო** - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური ან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2.1.11 **სამუშაო** - საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის **ადაპტაცია -ცვლილებისა** და ამავე მიწის ნაკვეთზე **ახალი შენობის** მშენებლობის მიზნით დოკუმენტაციის მომზადება, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1) **არქიტექტურული ნაწილი;**
2) **ინტერიერის დიზაინი;**
3) **კონსტრუქციული პროექტი;**
4) **3D და 2D აზომვითი ნახაზები;**
5) **საინჟინრო პროექტი;**
6) **საინჟინრო გეოლოგიური და ისტორიულ-ანალიტიკური კვლევა;**.
7) **საავტორო ზედამხედველობა;**

2.1.12 **ხის მოჭრის ნებართვა** - საჭიროების შემთხვევაში, ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა **საპროექტო მიწის ნაკვეთზე** არსებული მწვანე ხე-ნარგავების მოჭრა ან გადარგვასთან დაკავშირებით.

2.1.13 **საპროექტო მიწის ნაკვეთი** - ქ. თბილისში, ლეონიძის 5-3-ში, არსებული #01 15 05 066/022 და #01.15.066.007 საკადასტრო ერთეულები;

2.1.14 **არქიტექტურული ნაწილი** - დეტალური არქიტექტურული ნახაზები - ა) განამრტებითი ბარათი; ბ) საპროექტო ობიექტის გეგმა (სავალი ნაწილების, გასასვლელების, პარკინგის, შენობის სახურავების, გამწვანებული ადგილების და ლანდსაფტის ჩვენებით) და სამგანზომილებიანი მოდელი ;გ) ყველა სართულისა და სახურავის გეგმები; დ) ჭერი ნაჩვენები ყველა სართულზე (განათებებისა და დონეებს შორის სხვაობების მითითებით);ე) გარე ფასადები, ფრონტალური ფასადის დეტალების ჩვენებით სხვადასხვა მასშტაბში;ვ) კიბები, კიბის უჯრედები სხვადასხვა მასშტაბში;ზ) ღიობების, გარე და შიდა კარებების ცხრილები;თ) მთლიანი შენობის ოთახის დეტალური მონაცემები;ი) სახურავის დეტალების ჩვენებით;კ)შენობის ჭრილები;ლ) შენობის ფასადები;მ) ფასადის ჭრილების დეტალები;ნ) სამგზავრო და ტვირთმზიდი ლიფტების დეტალები სხვადსახვა მასშტაბში; ო) საჭიროების შემთხვევაში შენობის შიდა და გარე ელემენტების დეტალური აღწერილობა სხვადასხვა მასშტაბში; პ)დეტალური ცხრილები შენობის ფართობის მითითებით;ჟ) ინტერიერის დეტალები სხვადასხვა მასშტაბში;რ) ყველა სივრცის მოპირკეთების ცხრილები:ს) გარე ტექნიკის ცხრილები;ტ) სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დეტალები;უ) უნარშეზღუდულ პირთა შესასვლელები და მათი დახმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობები; ფ) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის არაღირებული ნაწილის დემონტაჟის ნახაზები.

2.1.15 **ინტერიერის დიზაინი** - შენობის იატაკი, ჭერის, კედლის განშლები და დეტალები;

2.1.16 **კონსტრუქციული ნახაზები** - ა)კონსტრუქციული ნახაზები/გეგმები; ბ) კონსტრუქციული ჭრილები; გ) საძირკვლის მოწყობის დეტალური ნახაზები; დ) წყალგაუმტარი სისტემის მოწყობის დეტალები; ე) წინასწარი კოლონების, მზიდი კონსტრუქციების, რიგელები მდებარეობის ამსახველი ნახაზები; ვ) კონსტრუქციული გაანგარიშებები, ზ) ხარჯთაღრიცხვა;

2.1.17 **3D და 2D აზომვითი ნახაზები - საპროექტო ტერიტორიაზე** არსებული შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზები;

2.1.18 **საინჟინრო ნაწილი - ა)**ელექტროობ; ბ)გათბობა, გაგრილება-კონდიცირება: გ) წყალმომარაგება, წყალარინება, გათბობა; დ) სუსტიდენები;

2.1.19 **მიღება-ჩაბარების აქტი** - აქტი/დოკუმენტი, რომელი ადასტურებს შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული **სამუშაოს** სრულად და ჯეროვნად შესრულებას.

2.1.20 **საბჭო** - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო;

2.1.21 **ახალი შენობა** - შენობა, რომლის საერთო მიწისზედა ფართი საორიენტაციოდ, შეადგენს: 9 500 (ცხა ათას ხუთასი) კვ.მ-ს, ხოლო მიწისქვეშა ფართი საორიენტაციოდ შეადგენს: 3 400 (სამი ათას ოთხას) კვ.მ-ს.

2.1.22 **პირველი ეტაპი - 3D და 2D აზომვითი ნახაზები,** ლეონიძის ქუჩა #3-5 ში არსებული **კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის** სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა; **კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის** შიდა გეგმარების ნახაზები; **კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის არაღირებული ნაწილის** დემონტაჟის ნახაზები.

2.1.23 **მეორე ეტაპი** -ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა #3-5-ში, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის **ადაპტაცია-ცვლილების** მიზნით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. **მეორე ეტაპი** მოიცავს: **არქიტექტურულ ნაწილს; კონსტრუქციულ პროექტს; საინჟინრო პროექტს; საინჟინრო-გეოლოგიურ და ისტორიულ-ანალიტიკური კვლევას;**

2.1.24 **მესამე ეტაპი** - ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა #3-5-ში, **ახალი შენობის** მშენებლობის მიზნით წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **სამუშაოს** შესრულება. **მესამე ეტაპი** მოიცავს: **არქიტექტურულ ნაწილს; კონსტრუქციულ პროექტს; საინჟინრო პროექტს;** შიდა გეგმარების ნახაზებს, სამგანზომილებიან მოდელს.

2.1.25 მეოთხე ეტაპი - -ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა #3-5-ში, **კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ადაპტაცია-ცვლილების** და **ახალი შენობის** მშენებლობის საავტორო ზედამხედველობა.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 წინამდებარე **ხელშეკრულების** საფუძველზე მხარეები თანხმდებიან, რომ:

3.1.1. **შემსრულებელი** ვალდებულია, წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად, შეასრულოს **საპროექტო მიწის ნაკვეთზე** არსებული **კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ადაბტაცია-ცვლილებისა** და **ახალი შენობის** პროექტირების **სამუშაო;**

3.1.2. **დამკვეთი** ვალდებულია **სამუშაოსთვის** გადაუხადოს **შემსრულებელს** წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ღირებულება.

3.1.3 **შემსრულებელი** ვალდებულია, **სამუშაო** შეასრულოს წინამდებარე **ხელშეკრულების პირობების შესაბამისად** .

3.1.4 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გააფორმებენ **შეთანხმებას საავტორო ზედამხედველობის** თაობაზე, რომლითაც დაზუსტდება საავტორო ზედამხედველობის განხორციელების ძირითადი პირობები.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 წინამდებარე **ხელშეკრულების** საფუძველზე **შემსრულებელი** ვალდებულია:

4.1.1 ქ. თბილიშსი, ლეონიძის ქუჩა #3-5-ში, **ადაპტაცია -ცვლილებისა** და **ახალი შენობის** მშენებლობის მიზნით მოამზადოს: **არქიტექტურული ნაწილი; ინტერიერის დიზაინის პროექტი; კონსტრუქციული პროექტი; 3D აზომვითი ნახაზები; საინჟინრო პროექტი; საექსპერტო კვლევები. შემსრულებელი** ვალდებულია არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო პროექტი დაამუშავოს მოქმედი სტანდარტებისა/ნორმების დაცვით.

4.1.2 **სამუშაო** შეასრულოს **სამ ეტაპად** და თითოეული ეტაპის **სამუშაო, მიღება-ჩაბარების აქტის** საფუძველზე გადასცეს **დამკვეთს.**

4.1.3 დამკვეთს პირველი ეტაპის **სამუშაო** გადასცეს არა უგვიანეს - 2017 წლის 15 აგვისტოსი, **მეორე ეტაპის** სამუშაო არა უგვიანეს 2017 წლის 10 სექტემბრისა, ხოლო **მესამე ეტაპის** სამუშაო არაუგვიანეს 2017 წლის 10 ოქტომბრისა.

4.1.4 წინამდებარე **ხელშეკრულების** საფუძველზე, **შემსრულებელი** ვალდებულია, თითოეული ეტაპის **სამუშაო** მიაწოდოს **დამკვეთს** სრულად და ჯეროვნად შესრულებული. თითოეული ეტაპის მიწოდება დადასტურდება მხარეებს შორის შესაბამისი **მიღება-ჩაბარების აქტის** საფუძველზე.

4.1.5 **ხელშეკრულების** საფუძველზე **შემსრულებელი** ვალდებულია უშუალოდ მოახდინოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **სამუშაოს** შესრულება. წინამდებარე პირობა არ ეხება, კონსტრუქციულ პროექტს, საინჟინრო პროექტს და კვლევებს. აღნიშნული დოკუმენტაცია **შემსრულებლის** დაკვეთის საფუძველზე, შეასძლოა შეასრულოს შემსრულებლის ქვეკონტრაქტორმა.

4.1.6 **დამკვეთის** მიერ, შესრულებული **სამუშაოს** შემოწმების საფუძველზე აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება საკუთარი ხარჯებით.

4.1.7 **დამკვეთის** თანხმობის გარეშე, არ გაამჟღავნოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა წინამდებარე **ხელშეკრულების** ფარგლებში ურთიერთ-თანამშრომლობის პერიოდში.

4.1.8 **სამუშაოს** განხორციელებისას, კონფიდენციალურად შეინახოს **სამუშაოს** ნებისმიერ ეტაპთან დაკავშირებული ინფორმაცია/პროექტი/დოკუმენტი. არ დაუშვას მათი მესამე პირებისათვის გამჟღავნება ან/და გადაცემა **დამკვეთის** თანხმობის გარეშე.

4.2 **დამკვეთი** ვალდებულია:

4.2.1 გადაიხადოს **სამუშაოს** ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

4.2.2 თითოეულის **ეტაპის** დასრულების შემდგომ, სრულად და ჯეროვნად შესრულებული სამუშაოსთვის გააფორმოს **შემსრულებელთან მიღება-ჩაბარების აქტი;**

4.2.3 შესრულებული **სამუშაოს** შემოწმება მოახდინოს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში და შესრულებულ **სამუშაოში** ხარვეზების აღმოჩენისთანავე აცნობის **შემსრულებელს**. **სამუშაო**ში აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებისათვის **მხარეები** შეთანხმდებიან დამატებით ვადაზე. დამატებითი ვადში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში **შემსრულებელს** არ დაეკისრება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო ან/და ჯარიმა.

4.2.4 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მიაწოდოს შემსრულებელს **საპროექტო მიწის ნაკვეთზე** არსებული შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული მდგრადობის თაობაზე შედგენილი შესაბამისი კვლევა, რომელიც დაადასტურებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული **სამუშაოს** განხორციელების შესაძლებლობას საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ შენობებზე. კონსტრუციული შეფასება უნდა იყოს უტყუარი და ცალსახად ადასტურებდეს **სამუშაოების** განხორცელების შესაძლებლობას. კონსტრუქციული შეფასების არასწორად განხორციელება, სრულიად გამორიცხავს **შემსრულებლის** პასუხისმგებლობას სამომავლოდ დამდგარ ყველანაირ შედეგზე.

4.2.5. საჭიროების შემთხვევაში მოიპოვოს საპროექტო მიწის ნაკვეთზე გამავალი ხაზობრივი მესაკუთრეების თანხმობა სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით.

4.2.6 იმ შემთხვევაში თუ **დამკვეთი** ვერ ახდენს 4.2 პუნქტში და მისი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მოპოვებას ამავე ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვადებში იგი ვალდებულია, შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ **შემსრულებელს**. **მხარეები** შესაძლოა წერილობით შეთანხმდნენ დოკუმეტაციის მოპოვების დამატებით ვადებზე. იმ შემთხვევაში თუ დამატებითი ვადა გავიდა უშედეგოდ, **შემსრლებელი** უფლებამოსილია მოითხოვოს ამ დროისათვის უკვე შესრულებული **სამუშაოს** ანაზღაურება. შესრულებული **სამუშაოს** ანაზღაურების შემდეგ, შესრულებული **სამუშაო** უნდა გადაეცეს **დამკვეთს**, ხოლო შემდგომი სამუშაო გაგრძელდება შესაბამისი დოკუმენტაციის შემსრულებლისათვის გადაცემის შემდგომ. თუ დოკუმეტაციის მიწოდება ვერ ხდება **მხარეთ**ა მიერ შეთანხმებულ დამატებით ვადაში და აღნიშნული ვადის ამოწურვიდან უშედეგოდ გავიდა ორი კალენდარული თვე, შემსრულებელი უფლებამოსილია შეწყვიტო წინამდებარე ხელშეკრულება.

4.2.7 **დამკვეთი** ვალდებულია, შესრულებული სამუშაოს შესახებ ნებისმიერ სახის პრეტენზია შემსრულებელს წაუყენოს მე-2 ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტის გაფომებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ იგი კარგავს უფლებას ასეთი პრეტენზიის წაყენების შესახებ.

5. სამუშაოს ღირებულება და მისი ანაზღაურების წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული **სამუშაოს** ღირებულება, დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 721 954 (შვიდას ოცდაერთი ათას ცხრაას ორმოცდა თოთხმეტი) ლარს.

5.2 მომსახურება, **სამუშაო** შესრულებისა და შესრულებული **სამუშაოს** ღირებულების გადახდის მიზნით, დაყოფილია ეტაპებად. თითოეული ეტაპის **სამუშაო** შედგება შემდეგი ღირებულების მქონე ნაწილისგან:

5.2.1 **პირველი ეტაპის - 3D და 2D აზომვითი ნახაზები** ღირებულებით - 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი; **სამგანზომილებიანი მოდელი ღირებულებით**- 45 500 (ორმოცა ხუთი ათას ხუთასი) ლარი; დემონტაჟის ნახაზები ღირებულებით - 39 500 (ოცდაცხრამეტი ათას ხუთასი) ლარი; **კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის** გეგმარება ღირებულებით - **86 891** (ოთხოცდა ექვსი ათას რვაასს ოთხმოცდათერთმეტი) ლარი;. **პირველი ეტაპის** ჯამური ღირებულებაა - 201 891 (ორას ერთი ათას რვაასს ოთხმოცდათერთმეტი ლარი) ლარი.

5.2.2 **მეორე ეტაპის - კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ადაპტაცია -ცვლილების არქიტექტურული ნაწილი** ღირებულებით - 168 086 (ას სამოცდაღვა ათას ოთხმოცდა ექვსი) ლარი; **კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ადაპტაცია-ცვლილების საინჟინრო პროექტი** ღირებულებით - 24 000 (ოცდაოთხი ათასი) ლარი; საპროექტო ტერიტორიის **გეოლოგიური და ისტორიული კვლევა** ღირებულებით - 12 000 (თორმეტი ათასი) ლარი; **კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ადაპტაცია-ცვლილების კონსტრუქციული პროექტი** ღირებულებით - 12 500 (თორმეტი ათას ხუთასი) ლარი. მეორე ეტაპის ჯამური ღირებულებაა - 216 586 (ორას თექვსმეტი ათას ხუთას ოთხმოცდაექვსი) ლარი.

5.2.3 მესამე ეტაპის - ახალი შენობის არქიტექტურული ნაწილი ღირებულებით - 176 486 (ას სამოცდა თექვსმეტი ათას ოთხას ოთხმოცდაექვსი) ლარი; ახალი შენობის გეგმარება და ახალი შენობის სამ განზომილებიანი მოდელი ღიღებულებით - 86 891 (ოთხმცდაექვსი ათას რვაასს ოთხმოცდათერთმეტი); **ახალი შენობის საინჟინრო პროექტი - 24 000 (ოცდაოთხი ათასი) ლარი**; ახალი შენობის კონსტრუქციული პროექტი - 12 500 (თორმეტი ათას ხუთასი) ლარი. მესამე ეტაპის ჯამური ღირებულებაა - 299 877 (ორას ოთხმოცდა ცხრამერი ათას რვაასს სამოცდაჩვიდმეტი) ლარი.

5.2.4 **მეოთხე ეტაპი** - სამშენებლო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობის ყოველთვიური ღირებულება შეადგენს - 300 (სამასი) ლარს თორმეტი კალენდარული თვის განმავლობაში. წინამდებარე ეტაპის ჯამური ღირებულებაა - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარი.

5.3 შესრულებული **სამუშაოს** ანაზღაურება ხდება შემდეგ სახით:

5.3.1 **პირველი ეტაპის** მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში **დამკვეთი შემსრულებელს** გადაუხდის შესრულებული **სამუშაოს** ღირებულებას, რაც თანხობრივად შეადგენს 201 891 (ორას ერთი ათას რვაასს ოთხმოცდათერთმეტი ლარი) ლარს.

5.3.2 მეორე ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში დამკვეთი **შემსრულებელს** გადაუხდის შესრულებული **სამუშაოს** ღირებულებას, რაც თანხობრივად დღგ-ს ჩათვლით შეადგენს - 216 586 (ორას თექვსმეტი ათას ხუთას ოთხმოცდაექვსი) ლარს.

5.3.3 **მესამე ეტაპის** მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში დამკვეთი **შემსრულებელს** გადაუხდის შესრულებული **სამუშაოს** ღირებულებას, რაც თანხობრივად დღგ-ს ჩათვლით შეადგენს - 299 877 (ორას ოთხმოცდა ცხრამერი ათას რვაასს სამოცდაჩვიდმეტი) ლარს.

5.3.4 **მეოთხე ეტაპი** სამუშაოს **ჯამური ღირებულების** - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის გადახდა მოხდება, სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან, თანაბარწილად, 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში.

5.4 **სამუშაოს** ღირებულება თავისთავში მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დამატებითი ღირებულების გადასახადს.

5.5 **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო/ნაღდი ანგარიშსწორების წესით.

5.6 უნაღდო ანგარიშსწორებისას თანხები უნდა ჩაირიცხოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე ან შემსრულების მიერ წერილობით განსაზღვრულ სხვა საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

6.1 **მხარეები** აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

6.1.1 **ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერის დროისათვის არიან/იქნებიან ქმედუნარიანები (მათ შორის, შექმნილი კანონმდებლობით დადგენილი წესით);

6.1.2 **ხელშეკრულება** იდება/დაიდება მათ მიერ ნებაყოფლობით, **დამკვეთის/შემსრულებლის** ან **მესამე პირის** მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

6.1.3 **ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერის მომენტისათვის, ისინი არ მონაწილეობენ არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მათ აქტივებს/ქონებას ან/და მათ მიერ **ხელშეკრულების** პირობების შესრულებას;

6.1.4 **ხელშეკრულებ**ის დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მათი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება მათ წესდებასთან ან/და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან და ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;

6.1.5 **ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის ისინი იცავენ და დაიცავენ ნებისმიერი **ხელშეკრულების** ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შემსრულებლის/დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

6.1.6 მათი ქმედება არ არის/იქნება მიმართული ურთიერთ მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით ხელშეკრულების დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **დამკვეთისათვის/შემსრულებლისათვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მათთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;

6.2 **მხარეები** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებენ ერთამნეთს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მათ აღნიშნულ განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება **შემსრულებლის/დამკვეთის** აქტივებს/ქონებას ან/და მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას.

6.3 **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **დამკვეთი/შემსრულებელი** მხოლოდ **შემსრულებლის/დამკვეთის** ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებენ და შეასრულებენ **ხელშეკრულებას**.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით. ზიანის ანაზღაურება **მხარეებს** არ ათავისუფლებს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან თუ წინამდებარე ხელშეკრლებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.2 **დამკვეთი** ვალდებულია **შემსრულებელს** გადაუხადოს პირგასამტეხლო **გადასახდელი თანხის** 0.1 %-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე, იმ შემთხვევაში თუ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდგომ **დამკვეთი** არ ახდენს **სამუშაოს** ღირებულების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ანაზღაურებას. პირგასამტეხლოს დარიცხვა დაიწყება მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის შემდეგ და გაგრძელდება ანგარიშსწორების სრულად განხორციელებამდე.

7.3 **დამკვეთი** ვალდებულია **შემსრულებელს** გადაუხადოს ჯარიმა იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი სრულად შეასრულებს კონკრეტული **ეტაპით** გათვალისწინებულ **სამუშაოს**, ხოლო **დამკვეთი** აჭიანურებს ან/და ხელს არ აწერს შესაბამისი **ეტაპის** მიღება-ჩაბარების აქტს. აღნიშნულ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა დაიანგარიშება თითოეული ეტაპის ღირებულებიდან და შეადგენს 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ჯარიმის დარიცხვა დაიწყება სათანადო წერილობითი შეტყობინების

მიღებიდან და გაგრძელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებამდე. აღნიშნული პუნქტი არ მოქმედებს თუ სახეზეა 4.2.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მდგომარეობა.
7.4 **შემსრულებელი** ვალდებულია გადაუხადოს პირგასამტეხლო **დამკვეთს** ყოველი დაგვიანებული ეტაპის ღირებულების 0.1%-ის ოდეობით, ყოველ ვადაგადაცილებულ **დღეზე**, იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელის მიზეზით დაგვიანდა 4.1 პუნქტში განსაზღვრული სამუშაოს შესრულება. პირგასამტეხლოს დარიცხვა იწყება ასეთი ვადაგადაცილების წარმოშობიდან და **შემსრულებლის** შესაბამისი წერილობითი გაფრთხილებიდან 15 სამუშაო დღის შემდეგ და გაგრძელდება შესაბამისი ეტაპის სამუშაოს მიწოდებამდე, რაც დადასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
7.5 წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს **მხარის** უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას.

8. კომუნიკაცია მხარეებს შორის

8.1 **მხარეებს** შორის კომუნიკაცია უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.
8.2 კომუნიკაცია შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერი, ქვემოთ ჩამოთვლილი, ფორმით: პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის გზით.
8.3 შეტაყობინება გაგზავნილ უნდა იქნას წინამდებარე **ხელშეკრულებაში** მითითებულ **საკორესპონდენციო მისამართზე.** ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი გაგზავნიდა ერთი დღის ვადაში, ხოლო კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, სათანადო დასტურის მიღებიდან .
8.4 თითოეული მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს **საკორესპონდენციო მისამართის** ან/და **ელექტრონული ფოსტის** ცვლილების თაობაზე.

9. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

9.1 წინამდებარე **ხელშეკრულება** ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 3 (სამი) კალენდარული თვის განმავლობაში.
9.2 **მხარეები** შესაძლოა დამატებით შეთანხმდნენ აღნიშნული ვადის გაგრძელებაზე. ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმება უნდა იყოს წერილობითი ფორმის.
9.3 წინამდებარე ხელშეკრულება, გარდა **მხარეთა** ორმხრივი შეთანხმებისა და მომსახურების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა, შესაძლოა ვადაზე ადრე შეწყდეს **ხელშკრულებით** გათვალისწინებულ და წინამდებარე მუხლში მოცემულ შემთხვევებში:
9.3.1 **შემსრულებლის** მიერ ცალმხრივად, თუ **დამკვეთის** მიერ ერთ თვეზე მეტი ვადით ჭიანურდება თითოეული ეტაპის სამუშაოს ღირებულების გადახდა და უშედეგოდ ამოიწურა **დამატებით ვადა.** აღნიშნული პუნქტის საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტა არ გამორიცხავს **შემსრულებლის** უფლებას დაარიცხოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ჯარიმა და მოითხოვოს უკვე შესრულებული **სამუშაოს** ანაზღაურება.
9.3.2 **შემსრულებლის** მიერ ცალმხრივად თუ: დამკვეთი არ აწვდის მას პროექტის შესათანხმებლად და ნებართვის მისაღებად კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას, აღნიშნულ შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და მოითხოვოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ანაზრაურება, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული **სამუშაოს** ღირებულება, დაქირავებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებით, საგადასახადო ან და სხვა ვალდებულებებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოეშვა ან წარმოეშვება **შემსრულებელს.**
9.3.3 დამკვეთის მიერ ცალმხრივად თუ: **შემსრულებელი** არ ახდენს ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა როცა დამკვეთი ვერ აწვდის შემსრულებელს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული დოკუმენტაცია, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9.3.5 წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.
9.4 **ხელშეკრულების** ცალმხრივად შეწყვეტისათვის თითოეული **მხარე** ვალდებულია, წერილობით აცნობოს მეორე **მხარეს ხელშეკრულების** შესაძლო შეწყვეტისა და ფაქტობრივი საფუძვლების თაობაზე. მხარე ვალდებულია, წერილობითი შეტყობინებით შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის მიზნით განუსაზღვროს მეორე მხარეს დამატებითი ვადა. დამატებითი ვადის განსაზღვრა არი არის საჭირო თუ ცხადია რომ მხარე ვერ მოახდენს მასზე წინამდებარე **ხელშეკრულებით** დაკისრებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებას.
9.5 წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია, დამკვეთს მიაწოდოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო ხოლო შემსრულებელი ვალდებულია, მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში გადაუხადოს შემსრულებელს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა გამოწვეულია ვალდებულების დამრღვევი მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (ფორს-მაჟორი).
10.2 ხელშეკრულების მიზნებისთვის, ფორს-მაჟორულ გარემოებად მიიჩნევა: სტიქიური კატასტროფა (ძლიერი ნალექი, წყალდიდობა, ქარიშხალი, მეწყერი და ა.შ.), ხანძარი, საომარი მოქმედება, ეკონომიკური კრიზისი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, ადმინისტრაციული საჩივრები ან მხარეთათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელიც პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
10.3 მხარე, რომელსაც დაუდგა ფორს-მაჟორი, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ფორს-მაჟორული გარემოების და მისი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.
10.4 ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის შემთხვევაში, რომელთა შესახებაც ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მხარეებს არ შეიძლება დაეკისროთ რაიმე სახის პასუხისმგებლობა.
10.5 ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდგომ მახრეებს შეუძლიათ გადახდეონ ხელშეკრულების პირობებს და გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი.

11. სხვა პირობები

11.1 **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
11.2 **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულებით** (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.
11.3 **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.
11.4 **ხელშეკრულება** შედგნილია ქართულ ენაზე. **ხელშკრულების** ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ვრცელდება, ასევე, მხარეთა შორის

ურთიერთობაზე ან/და შეთანხმების, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.

11.5 **მხარეებს** შორის **ხელშეკრულების** საფუძველზე და მისგან გამომდინარე ურთიერთობები განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.6 **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე დავის შემთხვევაში, მხარეები შეეცდებიან ის გადაწყვიტონ ურთიერთ მოლაპარაკების გზით, რისთვისაც გამოიყენებენ 30 კლაენდარულ დღეს. მითითებულ ვადაის უშედეგოდ ამოწურვის შემთხვევაში, ყოველ მხარეს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს.

11.7 **ხელშეკრულება** შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის სახით, **ხელშეკრულების** ორი ეგზემპლარი გადაეცემა **დამკვეთს** ხოლო, ერთი ეგზემპლარი **შემსრულებელს**.

11.8 მხარეთა ხელმოწერები:

დამკვეთი:	**შემსრულებელი:**
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	**შპს „ლენდ მარკ პროჯექტი“**
მინისტრის მოადგილე	**დირექტორის წარმომადგენელი**
ზვიად გონაძე	**თეა მანჩხაშვილი**

„არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV კოდი: 71200000) შესყიდვასთან დაკავშირებით“ 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების №301/1752 ხელშეკრულების დანართი #1

ქ.თბილისი 10 ოქტომბერი, 2017 წელი

1. ხელშკერულების მხარეები:

1.1 **დამკვეთი:**

1.1.1. **სახელწოდება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო**

1.1.2 **საიდენტიფიკაციო ნომერი:** 203836222

1.1.3 **იურიდიული მისამართი:** ქ.თბილისი შიო ჩიტაძის ქ.4

1.1.4 **საკორესპონდენციო:** (ფაქტობრივი) **მისამართი:** ქ.თბილისი შიო ჩიტაძის ქ.4

1.1.5 **მინისტრის მოადგილე:** ზვიად გონაძე

1.1.6 **ელფოსტა: mfageo@mfa.gov.ge. mgogolauri@mfa.gov.ge**

1.2. **შემსრულებელი:**

1.2.1 **სახელწოდება (საფირმო):** შპს „ლენდ მარკ პროჯექტი “

1.2.2 **საიდენტიფიკაციო:** 405221843

1.2.3 **იურიდიული მისამართი:** ირაკლი აბაშიძის ქუჩა #86. ბინა #8

1.2.4 **საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ. კორპ. 11ბ

1.2.5 **დირექტორი:** ავთანდილ მახარობლიშვილი (პ/ნ:01008018073)

1.2.6 **დირექტორის წარმომადგენელი:** თეა მანჩხაშვილი (პ/ნ:01027010735)

1.2.7 **ელფოსტა:** avto.makh@gmail.com

1.2.8 **საბანკო რეკვიზიტები:**

1.2.9 **ბანკის დასახელება:** სს ,,თი ბი სი“

1.2.10 **ანგარიშის ნომერი:** GE79TB7427336080100005

პრეამბულა: „არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV კოდი: 71200000) შესყიდვასთან დაკავშირებით“ 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების №301/1752 ხელშეკრულების პირობების ცვლილების მიზნით მხარეები ვდებთ წინამდებარე დანართ #1-ს (შემდგომში: დანართი #1) და ვთანხმდებით შემდეგზე:

2. საგანი

2.1 შევიდეს ცვლილება „არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV კოდი: 71200000) შესყიდვასთან დაკავშირებით“ 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების №301/1752 ხელშეკრულებაში, კერძოდ: მე-4 მუხლის, „4.1.3“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1.3 დამკვეთს პირველი ეტაპის სამუშაო გადასცეს არა უგვიანეს - 2017 წლის 15 აგვისტოსი, მეორე ეტაპის სამუშაო არა უგვიანეს 2017 წლის 10 სექტემბრისა, ხოლო მესამე ეტაპის სამუშაო არაუგვიანეს 2017 წლის 20 ოქტომბრისა.“

3. სხვა პირობები

3.1 **მხარეები** ადასტურებენ, რომ **წინამდებარე დანართი #1-ის** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნებისგამოვლენა მოხდა შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

3.2 წინამდებარე **დანართი #1-ის** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **დანართი #1-ის** სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **დანართი #1-ით** (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

3.3 **დანართი #1-ის** მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

3.4 **დანართი #1** შედგნილია ქართულ ენაზე. ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ვრცელდება, ასევე, მხარეთა შორის ურთიერთობაზე ან/და შეთანხმების, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.

3.5 **მხარეებს** შორის **დანართი #1-ის** საფუძველზე და მისგან გამომდინარე ურთიერთობები განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. **დანართი #1-სა** და 2017 წლის 04 აგვისტოს „არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV კოდი: 71200000) შესყიდვასთან დაკავშირებით“ 2017 №301/1752 ხელშეკრულებას შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია **დანართ #1-ს.**

3.6 „არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV კოდი: 71200000) შესყიდვასთან დაკავშირებით“ 2017 წლის 04 აგვიტოს №301/1752 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3.7 **მხარეები** თანხმდებიან, რომ **დანართი #1-დან** გამომდინარე დავის შემთხვევაში, მხარეები შეეცდებიან ის გადაწყვიტონ ურთიერთ მოლაპარაკების გზით, რისთვისაც გამოიყენებენ 30 კლაენდარულ დღეს. მითითებულ ვადაის უშედეგოდ ამოწურვის შემთხვევაში, ყოველ მხარეს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს.

3.8 **დანართი #1** შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის სახით, **ხელშეკრულების** ორი ეგზემპლარი გადაეცემა **დამკვეთს** ხოლო, ერთი ეგზემპლარი **შემსრულებელს.**

3.9 წინამდებარე **დანართი #1** თანერთვის მხარეებ შორის „არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV კოდი: 71200000) შესყიდვასთან დაკავშირებით“ 2017 წლის 04 აგვისტოს №301/1752 ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.10 მხარეთა ხელმოწერები:

დამკვეთი:	**შემსრულებელი:**
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	**შპს „ლენდ მარკ პროჯექტი“**
მინისტრის მოადგილე	დირექტორი
ზვიად გონაძე	ავთანდილ მახარობლიშვილი

ქ. თბილისი შეთანხმება № 01-301/1752 01 ნოემბერი 2017 წ.

„არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV კოდი: 71200000) შესყიდვასთან დაკავშირებით 2017 წლის 04 აგვისტოს №301/1752 მომსახურების ხელშეკრულებაში“ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

1. ხელშკერულების მხარეები:

1.1 **დამკვეთი:**

1.1.1. **სახელწოდება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო**

1.1.2 **საიდენტიფიკაციო ნომერი:** 203836222

1.1.3 **იურიდიული მისამართი:** ქ.თბილისი შიო ჩიტაძის ქ. #4

1.1.4 **საკორესპონდენციო: (ფაქტობრივი) მისამართი:** ქ.თბილისი შიო ჩიტაძის ქ. #4

1.1.5 **მინისტრის მოადგილე:** ზვიად გონაძე

1.1.6 **ელფოსტა: mfageo@mfa.gov.ge. mgogolauri@mfa.gov.ge**

1.2. **შემსრულებელი:**

1.2.1 **სახელწოდება (საფირმო):** შპს „ლენდ მარკ პროჯექტი “

1.2.2 **საიდენტიფიკაციო:** 405221843

1.2.3 **იურიდიული მისამართი:** ირაკლი აბაშიძის ქუჩა #86. ბინა #8

1.2.4 **საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ. კორპ. 11ბ

1.2.5 **დირექტორი:** ავთანდილ მახარობლიშვილი (პ/ნ:01008018073)

1.2.6 **დირექტორის წარმომადგენელი:** თეა მანჩხაშვილი (პ/ნ:01027010735)

1.2.7 **ელფოსტა:** avto.makh@gmail.com

1.2.8 **საბანკო რეკვიზიტები:**

1.2.9 **ბანკის დასახელება:** სს ,,თი ბი სი“

1.2.10 **ანგარიშის ნომერი:** GE79TB7427336080100005

პრეამბულა:

➢ 2017 წლის 04 აგვისტოს დამკვეთს - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და შპს „ლენდ მარკ პროჯექტი“-ს შორის (შემდგომში: ერთობლივად - მხარეები) დადებულ იქნა არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (საინჟინრო ნახაზები, კონსტრუქციული ნახაზები, აზომვითი ნახაზები) ხელშეკრულება (შემდგომში: მომსახურების ხელშეკრულება)

➢ დამკვეთს და შემსრულებელს სურთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში, წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, შეიტანონ შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებაში და მე-2 მუხლის “2.1.24” ქვეპუნქტში და ცვლილების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.24 მესამე ეტაპი - ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა №3-5-ში, ახალი შენობის მშენებლობის მიზნით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. მესამე ეტაპი მოიცავს: არქიტექტურულ ნაწილს (დემონტაჟის პროექტთან და მშენებლობის ორგანიზების გრაფიკთან ერთად); კონსტრუქციულ პროექტს; საინჟინრო პროექტს; შიდაგეგმარების ნახაზებს, სამგანზომილებიან

მოდელს, შესრულებულ და მიმდინარე სამუშაოში ცვლილებების შეტანას სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო შეფასების თანახმად.“

მუხლი 2. შევიდეს ცვლილება 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებაში და ცვლილების გათვალისწინებით მე-4 მუხლის, „4.1.3“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1.3 დამკვეთს პირველი ეტაპის სამუშაო გადასცეს არა უგვიანეს - 2017 წლის 15 აგვისტოსი, მეორე ეტაპის სამუშაო არა უგვიანეს 2017 წლის 11 სექტემბრისა. მესამე ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაო არაუგვაინეს 2018 წლის 10 მარტისა (იმ შემთხვევაში თუ სსიპ -ლევან სამხარაულის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საბოლო შენიშვნების მიწოდება შემსრულებლისათვის მოხდება არა უგვიანეს ორი კალენდარული კვირით ადრე საბოლოო თარიღამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მითითებული ვადა გადაიწევს დამატებით ორი კვირით) .“

მუხლი 3. შევიდეს ცვლილება 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებაში და მე-4 მუხლის “4.1.3” ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსი „4.1.3.1 ქვეპუნტი:

„4.1.3.1 მეორე ეტაპის დასრულებიდან არა უმეტეს ორი კალენდარული თვისა მოამზადოს მესამე ეტაპის სამუშაო სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლოს ექსპერიზის ეროვნულ ბიუროში ესპერტიზისთვის წარსდაგენად.“

მუხლის 4. შევიდეს ცვლილება 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებაში და მე-4 მუხლის “4.1.3.1” ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსი „4.1.3.2 ქვეპუნტი:

მუხლი 5. *„4.1.3.2 სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე განახორციელოს უკვე შესრულებულ მეორე და პირველი ეტაპის სამუშაოებში არსებული ხარვეზების გამოსწორება და შესაბამისად დააკორექტიროს მესამე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაო. “*

მუხლი 6. შევიდეს ცვლილება 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებაში და მე-4 მუხლის “4.2.3” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.2.3 შესრულებული სამუშაოს შემოწმება მოახდინოს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში და შესრულებულ სამუშაოში ხარვეზების აღმოჩენისთანავე აცნობოს შემსრულებელს. სამუშაოში აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებისათვის მხარეები შეთანხმდებიან დამატებით ვადაზე. დამატებითი ვადში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში შემსრულებელს არ დაეკისრება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო ან/და ჯარიმა. მეორე ეტაპის დასრულებიდან 2 კალენდარული თვის ვადში სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესამოწმებლად წარუდგინოს მეორე და მესამე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაო. სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუოროს მიერ შესრულებულ სამუშაოში ხავეზების აღმოჩენის შემთხვევაში (სრული საექსპერტო შეფასება განხორციელებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 2018 წლის 31 მარტისა), დაუყოვნებლივ აცნობოს შემსრულებელს და განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საბოლოო დასკვნის საფუძველზე, შესრულებულ და მესამე ეტაპის სამუშაოში ხავეზების სრულად და ჯეროვნად აღმოფხვრის შემდგომ, გააფორმოს შემსრულებელთან მესამე ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტი და გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული მე-3 ეტაპის ღირებულება. „

ქ. თბილისი შეთანხმება № 01-301/1752 01 ნოემბერი 2017 წ.

მუხლი 7. შევიდეს ცვლილება 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებაში და მე-5 მუხლის „5.2.3“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5.2.3 მესამე ეტაპის - ახალი შენობის არქიტექტურული ნაწილი (დემონტაჟის პროექტთან და მშენებლობის ორგანიზების გრაფიკთან ერთად) და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნის საფუძველზე მიწოდებულ და მიმდინარე სამუშაოში ხარვეზების გასწორება, ღირებულებით - 176 486 (ას სამოცდა თექვსმეტი ათას ოთხას ოთხმოცდაექვსი) ლარი; ახალი შენობის გეგმარება და ახალი შენობის სამ განზომილებიანი მოდელი ღირებულებით - 86 891 (ოთხმცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცდათერთმეტი); ახალი შენობის საინჟინრო პროექტი - 24 000 (ოცდაოთხი ათასი) ლარი; ახალი შენობის კონსტრუქციული პროექტი - 12 500 (თორმეტი ათას ხუთასი) ლარი. მესამე ეტაპის ჯამური ღირებულებაა - 299 877 (ორას ოთხმოცდა ცხრამერი ათას რვაას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი.„

მუხლი 8. შევიდეს ცვლილება 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებაში და მე-9 მუხლის „9.1“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 7 (შვიდი) კალენდარული თვის განმავლობაში."

მუხლი 9. წინამდებარე შეთანხმება თანდაერთოს 2017 წლის 04 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებას და განხილულ იქნას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მუხლი 10. მხარეები ადასტურებენ რომ წინამდებარე შეთანხმება სრულად გამოხატავს მათ ნებას, იგი შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის სახით, რომელთაგან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსრულებელს, ხოლო ორი ეგზემპლარი დამკვეთს.

მუხლი 11. მხარეთა ხელმოწერები:

დამკვეთი:	**შემსრულებელი:**
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	**შპს „ლენდ მარკ პროჯექტი“**
მინისტრის მოადგილე:	**დირექტორი:**
ზვიად გონაძე	**ავთანდილ მახარობლიშვილი**